პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 23 ივნისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 138 (836) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ქართულ კონტრრევოლიუციონურ ემიგრაციის უკანასკნელი დღეები.

ქართულ კონტრრევოლიუციონურ ემიგრაციას საფუძვლიანად შეუდგა წყალი. ის იხრწნება და სწრაფი ნაბიჯით მიექანება უფსკრულისაკენ. თუმცა გახრწნილება და გათახსირება მას ყოველთვის ახასიათებდა, მაგრამ დღეს ის საბოლოოდ იხრწნება და იშლება ორგანიზაციულად. ეს ისტორიულად აუცილებელი იყო.

მათი აღსასრული ადრე თუ გვიან ასეთი უნდა ყოფილიყო. მენშევიკური და სხვა ქართული დემოკრატიული პარტიები, რომლებიც ჩადგენ რეაქციის ბანაკში და დაიწყეს სასტიკი ბრძოლა მუშურ-გლეხური საქართველოს წინააღმდეგ, ცხადია უნდა დამარცხებულიყვნენ. მუშების და გლეხების პარტიის სახელწოდების ქვეშ ამოფარებული ისინი გააფთრებით ებრძოდენ იმავე მუშებს და გლეხებს.

მენშევიკები, სოციალ ფედერალისტები თუ ნაციონალ დემოკრატები აკეთებდნენ ერთ საქმეს—ბურჟუაზიის და იმპერიალიზმის. ისინი ყოველ ფეხის გადადგმაზე ღალატობდნენ მშრომელთა მასებს იმპერიალისტების სასარგებლოდ. მაგრამ ქართველ მუშამ და გლეხმა მალე გაუსინჯა მათ კბილები, დაამხო მათი ხელისუფლება და დაამყარა ნამდვილი თავისი ძალაუფლება—საბჭოთა ძალაუფლება.

ქართველ მუშამ და გლეხმა სამუდამოთ გასწყვიტეს კავშირი ამ პარტიებთან. წვრილ ბურჟუაზიულ დემოკრატიული პარტიების რიგები სამუდამოთ დაცარიელდა. მათ მხოლოდ შერჩა თითო ოროლა შეურიგებელი მტრები ხალხისა—თავადები, აზნაურები და ბურჟუაზიული ინტელიგენტები. ქართულ კონტრრევოლიუციონურ პარტიებს სამუდამოთ მოეღო ბოლო საქართველოში.

როგორც პარტიები ისინი გაჰქრენ და ჩაბარდენ ისტორიას, ხოლო ამ პარტიების ნაფლეთები საზღვარ გარეთ კიდევ განაგრძობენ არსებობას იმპერიალისტური ევროპის წყალობით. მათ ყოველგვარი საშვალება იხმარეს მუშურ გლეხურ საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ ამაოდ. თითეული მათი საზიზღარი ზრახვა დაიმსხვრა ქართველი მუშების და გლეხების და ქართული წითელი ჯარის რევოლიუციონურ შეგნებასა და სიმტკიცეზე. და უნაყოფო ბრძოლის შემდეგ ქართული კონტრრევოლიუციონური ემიგრაცია დაადგა ორგანიზაციულად დაშლის გზას. მისი რიგები დღითი-დღე თხელდება. ვისაც კიდევ შერჩა სადი აზროვნება და მშრომელთა ხალხისადმი სიყვარული, ის სტოვებს კონტრრევოლიუციონურ ემიგრაციის რიგებს და დგება საბჭოთა პლატფორმაზე.

როგორც რადიო გადმოგვცემს გერმანიაში უკვე აღარ არსებობს ქართველ ემიგრანტთა არც ერთი კონტრრევოლიუციონური ჯგუფი.

ასეთივე ხდება სხვა ქვეყნებშიაც, სადაც კი იმყოფებოდენ ქართველი ემიგრანტები.

ასეთივეს აქვს ადგილი თვით ემიგრაციის ცენტრშიც—პარიზში.

პარიზში გაშმაგებული ბრძოლაა ორ ფრთას შორის. ემიგრანტული მასა დიდი უკმაყოფილოა თავისი ლიდერების—ჟორდანია, რამიშვილი, წერეთლის ავანტიურისტულ პოლიტიკით.

თუმცა ბელადები ყოველგვარ ხრიკებს მიმართავენ, რომ შეინარჩუნონ თავის რიგებში ეს მასა, მაგრამ გვიანღა არის.

მენშევიზმის და ქართული კონტრრევოლიუციის უკანასკნელი ყინულიც დაიძრა. და რაც უფრო მაღლა იწევს საბჭოთა საქართველოს აღორძინების და განმტკიცების მზე, მით უფრო სწრაფად დნება მისი ცხოველმყოფელი სხივების ქვეშ ქართული კონტრრევოლიუციის ეს უკანსკნელი ყინულიც.

ქართული კონტრრევოლიუციის უკანასკნელი რეზერვი სიკვდილის აგონიამ შეიპყრო.

და რაც უფრო ადრე განუტევებს ის სულს, მით უკეთესია.

---

## მშვიდობიანობისა თუ ომისაკენ.

(„იზვესტიას" წერილი).

„საგარანტიო აქტი" დღევანდელი დღის საჭირბოროტო თემაა.

ამასთან ერთხელ კიდევ აშკარავდება, რომ ეგრედ წოდებულ მოკავშირეთა სახელმწიფოებს შორის ვერ არის სრული თანხმობა. მაგრამ მიუხედავად უთანხმოებისა, საფრანგეთი და ინგლისი მოქმედებენ შეერთებულად იმდენად, რამდენად საქმე ეხება გერმანიის ძლიერების აღორძინების ხელის შეშლას. მართალია, ცდილობს რა გერმანიის გამოყენებას თავისი პოლიტიკის იარაღად ევროპის კონტინენტზე, ინგლისი მზადაა წავიდეს ერთგვარ დათმობებზე. მაგრამ საქმე, ძველებურად, მაინც გერმანიას შეეხება.

ერთის მხრივ ცდილობენ გერმანიის მოქცევას თავის გავლენის სფეროში და საბჭოთა კავშირთან მის დაახლოების ჩამოშორებას. მეორეს მხრივ გერმანიას უყენებენ შეუძლებელ პირობებს და ამრიგად უძნელებენ პოზიციას გერმანიის საზოგადოებრივობის იმ ელემენტებს, რომლებიც მომხრენი არიან ეგრედ წოდებულ „დასავლეთის ორიენტაციისა."

იბადება საკითხი: ყოველი ეს მოლაპარაკება და ვაჭრობა მშვიდობიანობის თუ ახალი ომისკენაა მიმართული?

ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებდით, რომ თუ არ შეიცვალა კაპიტალისტური რეჟიმი, ახალი მსოფლიო ომი აუცილებელია. ჩვენ მოულოდნელად გვეთანხმება ამაში დიდ-ბრიტანეთის გავლენიანი წრეებიც. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ რამდენადაც ინგლისი არ იღებს თავის თავზე ახალ ვალდებულებებს, რამდენადაც განზრახული აქვს მას მხოლოდ გააფართოვოს თავისი ძველი ვალდებულებანი და არ იძლევა დაპირებებს მომავალ ომში მონაწილეობისათვის, იმდენად მისი ინტერესები ხელშეუხები იქნებიან.

რომ ომი იქნება, ეს საეჭვო არაა ინგლისის გავლენიანი წრეებისათვის. საქმე ისაა თუ ვინ მიიღებს მასში მონაწილეობას და რა პირობებში. კერძოდ „საგარანტიო აქტი" იმ სახით, რომელსაც ის ეხლა დებულობს, ძალიან ნაკლებად უზრუნველყოფს მშვიდობიანობას და მეტ ნაწილად ის წარმოადგენს მომავალი კონფლიქტების გარანტიას".

---

# ახალი რადიო-ამბები

## თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩინეთში.

### ჩინეთიდან გაიქცა ინგლისის და იაპონიის ორი კონსული.

### პეკინში ჩავიდა უცხოელების პოლიციელთა ორი შერეული ბრიგადა.

### უცხოელები აძლიერებენ შანხაიში სამხედრო ძალებს.

### საყოველთაო გაფიცვები ფართოვდება. ინგლისის რამოდენიმე გემი გაჩერებულია.

### იაპონიის მტაცებლები ახალ ხრიკს მიმართავენ.

## კონსულები გარბიან.

ეს ერთი და სხვა ათასი.

ჩუსკინში (პროვინცია ჩინეთში) მყოფი ინგლისის და იაპონიის კონსულები იძულებული შეიქნენ დაეტოვებიათ თავიანთი სამყოფი ადგილები და გაქცეულიყვენ.

საკონსულოები დაიხურა.

## საყოველთაო გაფიცვები ფართოვდება.

17 ივნისს კანტონში გამართულ მასიურ მიტინგზე გადაწყდა საერთო გაფიცვები და ბოიკოტი ინგლისისა და იაპონიის საქონელზე. მეზღვაურთა გაფიცვები უკვე დაიწყო და ინგლისის რამოდენიმე გემი გაჩერებულია.

პოლიციის გაძლიერებული რაზმი იცავს მთავრობისა და კერძო დაწესებულებებს.

## ახალი სამხედრო გემები შანხაიში

შანხაიში თანდათან ემატება ახალი სამხედრო გემები. იაპონიიდან გაგზავნილია 4 გემი, საფრანგეთიდან—1.

## „წესრიგის დასაცავად".

მუკდენიდან პეკინში მივიდა პოლიციელთა ორი შერეული ბრიგადა ჩინეთის „სატახტო ქალაქში წესრიგის დასაცავად„.

## საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობა.

საუბარი ამხ. კრასინთან.



ამხ. კრასინი.

საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ურთიერთობის შესახებ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ამხ. კრასინმა განაცხადა: „საფრანგეთთან ამ ჟამად ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას ერთის მხრივ ეკონომიურ, ფინანსიურ და სავაჭრო ურთიერთობის შესახებ, მეორეს მხრივ სხვა და სხვა სადაო საკითხების მოგვარების გარშემო.

ერიოს სამინისტროს გამოცვლამ ბუნებრივად შეუშალა ხელი მოლაპარაკებას, ვინაიდან ახალი პირები ხელახლად უნდა გასცნობოდენ საკითხს.

ვრანგელის მიერ გატაცებულ ფლოტის საკითხი ძველებურადაა. ჩვენი ვაჭრობა საფრანგეთთან ფართოვდება.

ამ წლის კარგი მოსავალი მეტად გააძლიერებს ჩვენს სავაჭრო პოზიციას საფრანგეთში, ვინაიდან ჩვენს პურს დიდი მოწონება აქვს საფრანგეთში.

---

## ჩინეთ-საბჭოთა მეგობრობა.

კარახანის ნოტის საპასუხოდ, რომელშიაც გამოთქმული იყო თანაგრძნობა შანხაის ამბების გამო, ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მადლობა გამოსთქვა და აღუთქვა გადასცეს ჩინეთის ხალხს საბჭოთა კავშირის ხალხის მიერ გამოთქმული თანაგრძნობა.

---

## იაპონიის მტაცებლების ახალი ხრიკი.

იაპონიის ერთი გაზეთი, რომელიც გამოდის ჩინურ ენაზე ამეკინში, აცხადებს, რომ ჩინეთის ამბები ეკონომიურ ნიადაგზე კი არ არის, არამედ ყვითლებსა და თეთრებს შორის შეტაკებაა. ამიტომ იაპონიამ და ჩინეთმა ერთად უნდა იმოქმედონ რასიულ ინტერესების დასაცავადო. „საჭიროა ჩინეთმა და იაპონიამ დაივიწყონ წვრილმანი უთანხმოება."ო ამბობს გაზეთი.

იაპონია ცდილობს ამ გზით აიშოროს ჩინეთის მხრივ საფრთხე. მართლაც ამ ხერხით იაპონიამ რამოდენიმედ გაიმარჯვა, ვინაიდან მოძრაობა ამ ჟამად მიმართულია უპირატესად ინგლისის წინააღმდეგ.

---

## მდგომარეობა მაროკოში.

### რიფები ახალი შეტევისათვის ემზადებიან.

### ესპანეთი ცდილობს რიფებთან მოლაპარაკებას.

### ყალბი საბუთების ქარხნები.

### რიფები ძალებს იკრებენ.

ესპანეთის მაროკოს დასავლეთ ზონაში მდგომარეობა რთულდება. რიფები ძალებს იკრებენ სხვადასხვა პუნქტებზე ახალი შეტევისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ესპანეთის მოლაპარაკება რიფებთან.

ესპანეთი სცდილობს მოლაპარაკება გამართოს აბდ-ელ-ქერიმთან, რისთვისაც გაგზავნილია რიფებთან ესპანეთის ცნობილი საქმის კაცი ეჩევარიეტა.

## ვერც ამით ჩააქრობენ რევოლიუციის ხანძარს.

მთავრობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ბოლო მოუღონ კომუნისტების აგიტაციას მაროკოს ომის წინააღმდეგ, პარიზში და პროვინციებში სწარმოებს მასიური დაპატიმრება. ჯერ-ჯერობით დაპატიმრებულია 120 კაცი. მთელი მემარჯვენე პრესა მოითხოვს სასტიკ ზომებს კომპარტიის წინააღმდეგ. გაზეთი „ევრი“ აქვეყნებს წერილს, თუ როგორ აშინებენ გაიძვერა პირები „ობივატელებს“ და უნერგავენ მათ სიძულვილს კომუნისტებისადმი ყალბი დოკუმენტებით ვაჭრობის საშუალებით.

———

## გერმანიის სტუდენტ-ტერორისტების საქმე.

ამ დღეებში მოსკოვში დაიწყება გერმანიის სტუდენტ-ტერორისტების გასამართლება, რომლებიც ჩამოვიდენ საბჭოთა კავშირში, როგორც ექსკურსანტები სამეცნიერო მიზნით, რისთვისაც დახმარებას ღებულობდენ განათლების კომისარიატისა და კომინტერნისაგან. ნამდვილად კი ისინი მოვიდენ ჩვენში კონტრრევოლიუციონური ზრახვებით და აპირობდენ რამოდენიმე ტერორისტულ აქტების მოწყობას, კერძოდ სტალინსა და ტროცკიზე, რაშიაც მათ ხელი შეეშალათ მათგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო.

———

## ეკონომიურ ფრონტზე.

**შირაქის არხის საზეიმო გახსნა.**

გუშინ დიდის ზეიმით გაიხსნა შირაქის ველზე ლენინის სახელობის სარწყავი არხი. არხის გახსნას დესწრენ სხვათა შორის სომხეთის მთავრობის მთელი შემადგენლობა, ამიერკავკასიის ცაკის თავმჯომარე მახარაძე, ფრიტიოფ ნანსენი და სხვა.

12 საათსა და 15 წუთზე აამუშავეს ბორბლები და წყალი მიუშვეს გვირაბში.

დღის ხუთ საათზე სარწყავი წყალი პირველად გაუშვეს ქალაქის მიწებზე.

მიღებულ იქნა მრავალი მილოცვის დეპეშა. მისალმების სიტყვა წარმოსთქვა ნანსენმა.

შირაქის არხის გახსნა სახალხო დღესასწაულის ელფერით ჩატარდა.

# პარტიული ცხოვრება.

## ჩვენი კომუჯრედის მუშაობიდან.

14 ივნისს შესდგა 6-სე ლეგიონის მე-3-მე ასეულის კომუჯრედის მორიგი ღია კრება, რომელსაც დაესწრო როგორც პარტ-ამხანაგები, ისე ასეულის უპარტიოთა მთელი შემადგენლობა. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, 2) უჯრედთან ახკომკავშირის დამხმარე ჯგუფის დაარსება, 3) 1902 წელში დაბადებულ ცვალებადელთა შეხვედრის შესახებ და 4) მიმდინარე საკითხები. პირველი საკითხი უჯრედის კრების დღის წეს-რიგიდან იქნა მოხსნილი, ვინაიდან სამაზრო პარტიული კომიტეტიდან მომაგრებული ამხანაგი, რომელსაც დავალებული ჰქონდა მოხსენების გაკეთება ხსენებულ თემაზე ვერ გამოცხადდა ავადმყოფობის გამო. მეორე საკითხზე, ვინაიდან ასეულის კომუჯრედთან არ იყო დაარსებული ახკომკავშირის დამხმარე ჯგუფი კავშირის წევრების რიცხვის სიმცირის გამო, რომელიც გადიდებულ იქნება ახალწვეულების გამოწვევის შემდეგ, დაარსებულ იქმნა დამხმარე ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელად უჯრედის საერთო კრებამ აირჩია ახკომკავშირის წევრი წითელი მეთაური ამხ. ბორისენკო.

არჩეული ამხანაგი იმედია პირნათლად შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და გაუწევს შესაფერ ხელმძღვანელობას დამხმარე ჯგუფისმუშაობას

1902 წელში დაბადებულ ცვალებადელთა შეხვედრის შესახებ ილაპარაკა ასეულის უფროსმა ამხ. ცხვედიანმა, რომელმაც მოუწოდა ასეულის ძირითად შემადგენლობას ღირსეულად შეხვდენ ახალწვეულთა მოსვლას და მთელი თავიანთი ენერგია მოახმარონ მათი სამხედრო და პოლიტიკური ცოდნის განმტკიცების საქმეს. პარტკორი ნ. ასათიანი.

## 1-ლ ქარ. მსრ. ლეგ. სკოლის კომუჯრედში.

1-ლ. ქართ. მსრ. ლეგ. სკოლის კომ. უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება შემდეგ ამხანაგებს პარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ.

1. სიდამონიძე იასონ ა. ლ. კ. კ. წევრი, 1902 წელში დაბადებული გლეხი 2. დიდებაშვილი იასონ--უპარტიო 1902 წ. დაბადებ. გლეხი. 3. კოკაია გრიგოლი--უპარტიო 1902 წ. დაბადებული მუშა. 4. მენაბდე ვასილი ა. ლ. კ. კ. წევრი, 1902 წ. დაბადებული გლეხი. 5. ბეროზაშვილი იოსები ა. ლ. კ. კ. წევრი, 1902 წ. დაბად. გლეხი. 6. ინაშვილი ნიკოლოზი უპარტიო, 1901 წელში დაბადებული მუშა (გათავებული აქვს მუშაფაკი). 7. გუჯაბიძე დავით-უპარტიო 1902 წ. დაბადებული მუშა. 8. ბიდოევი ნიკოლოზი--უპარტიო 1902 წელში დაბადებული მეწაღე (მისაღებია ა. ლ. კ. კავშირში) თუ ვინმეს აქვს საწინააღმდეგო ზემოაღნიშნულ ამხანაგებზე, მათი პარტიაში მიღების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ წერილობით ან სიტყვიერათ 4 დღის განმავლობაში.

1-ლ ქართ. მსრ. ლეგ. სკოლის კომუჯრ. პრეზიდიუმში.

## ახკომკავშირელთა შორის.

**2-რე საკავშირო ასეული.**

ასეულში რამოდენიმე თვეა არსებობს ახ. ლ. კ. კ. ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია მესანგრე ასეულის კომკავშირელებთან. პირველ ხანებში მუშაობა ჯგუფში მოისუსტებდა, მაგრამ შემდეგში თანდათან გამოცოცხლდა და თავის დონეზე დადგა.

ჯგუფში ახალწვეულებს გარდა ირიცხება 17 კაცი.

გვაქვს კავშირი ადგილობრივ თამბაქოს ქარხნის კომკ. უჯრედთან. ჩვენი ჯგუფიდან მიმაგრებულია ერთი ამხანაგი.

თვეში ერთხელ ხდება გაერთიანებული კრებები. წ. არმიელები ჩათრეულ არიან სამოქ. უჯრედის მიერ სხვა და სხვა დავალებებში. კავშირი ნაწილის კომუჯრედთან კარგი გვაქვს.

კომუჯრედმა რამოდენიმეჯერ დასვა თავის კრებებზე საკითხი კომკავშირის მუშაობის შესახებ, მიუთითა სხვა და სხვა ნაკლულოვანებაზე და მისცა მომავლისთვის ახალი სამუშაო გეგმა.

მსურველ უპარტიოთა მიღებას კავშირის წევრებათ დიდი სიფრთხილით ვეპყრობით. ამ ჟამად რამოდენიმე ამხანაგს აქვთ განცხადებები შემოტანილი.

უპარტიოთა ლტოლვა კავშირისაკენ ნორმაზე მეტია.

სამხკორი ხ. მ.

## სამხედრო საქმე.

**მტრედის ფოსტა.**

იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებში კავშირის დასაჭერად სარგებლობდენ გაწვრთნილი მტრედებით. უკანასკნელ დროს ყველა ქვეყნის არმიებში ამ საქმეს დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

ზოგიერთ ქვეყანაში, როგორც მაგ. იაპონიაში, მტრედის ფოსტა მშვიდობიან დროსაც კი არსებობს. იქ საფოსტო მტრედით, სარგებლობენ კომერციულ ცნობების გადასაცემად.

ძლიერი მიწის ძვრის დროს იაპონიაში (1923 წელს.), როცა განადგურებულ იქნა კავშირის ყოველგვარი საშუალება, საფოსტო მტრედებმა დიდი როლი ითამაშეს. ცხადია, ომის დროს ეს მტრედები გადაეცემა არმიას.

ჩვენში, ზოგიერთ ოლქებში მანევრების დროს ცდების მიზნით აწარმოებდენ კავშირის საქმეს საფოსტო მტრედების საშუალებით. ამ ცდებმა დაამტკიცა მტრედების გამოყენების აუცილებლობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა კავშირის სხვა საშუალება არ მოიპოვება. მტრედის ფრენის დრო—60 ვერსი საათში. კარგად გაწვრთნილ მტრედს შეუძლია შორი მანძილის გადაფრენა (მაგ. 800 ვერსამდე).

მტრედის მიერ წასაღები ცნობა არ უნდა აღემატებოდეს 1 ან 1 ნახ. მისხალს.

დეპეშას შემოაკერებენ მტრედს ფეხზე.

წინად მტრედების გამოყენება ამ მხრივ შეიძლებოდა მხოლოდ განსაზღვრულ წერტებში, ე. ი. იქ, სადაც იმყოფებოდა მტრედების მუდმივი სადგურები. ეხლა შემოღებულია მოძრავი სადგურები. ეს არის სადგური—სამტრედე 40—60 მტრედისთვის, რომელიც მოთავსებულია საბარგულეზე და მოძრაობს შტაბთან ერთად. ასეთი სადგურები ეძლევა ცალკე ნაწილებსაც.

ასეთი სადგურის საშუალებით შეიძლება გადმოსცენ ცნობები მოწინავე (ბრძოლის) ხაზიდან მძიებლებმა, ცხენოსან თარეშებმა, მზვერავებმა და ისეთმა ნაწილებმა, რომლებიც იმყოფებიან მოძრაობაში და, მთავარ ნაწილზე მოშორების გამო, არ აქვთ კავშირის ტეხნიკური საშუალება.

მიუხედავად კავშირის საშუალებათა განვითარებისა (რადიო—ავიაცია), მტრედით კავშირი უსათუოდ წარმოებულ იქნება სამხედრო საქმეში როგორც დამხმარე საშუალება, რომელიც განსაკუთრებით ძვირფასი იქნება მაშინ, როცა კავშირის სხვა საშუალება არ გვექნება.

პ.

## ტერ-არმიელი ვასო.

(მოთხრობა)

### ვასო ტერ-არმიაში გაიწვიეს.

მდინარე მტკვრის განაპირად, მთის კალთებზე გაშენებული იყო პატარა სოფელი, რომელშიაც დაიბადა ვასო, გაატარა თავისი ბავშვობა, სიყმაწვილე და 22 წლის ჭაბუკი გახდა, რომ თავის საყვარელ სოფელს არ მოშორებია.

ვასო იმდენად შეეზარდა თავის სოფელს, იმდენად შეისწავლა ყოველი ბუჩქი, ბილიკი, შარა გზა, იმდენად შეეჩვია „მოდუღუნე მტკვარს“, რომ მას ვერ წარმოედგინა თავის სოფელს გარეშე ცხოვრება.

ერთ მშვენიერ დღეს ვასო გაიწვიეს ტერ-არმიაში. თუმცაღა ამისათვის მას შორს არ უწევდა წასვლა, ვინაიდან შეკრების ადგილი, ტფილისი, არც ისე შორს იყო, და სამსახურის ვადა სულ რაღაც სამიოდე თვე, მაგრამ მას, სოფელთან შეზრდილს, პირველ ხანებში მაინც ეძნელებოდა მისი მოშორება. ამასთან ვასოს არც იმდენი წარმოდგენა ჰქონდა წითელ ყაზარმაზე. 5—6 წლის წინად ენახა თავის სოფელში ჯარისკაცები, რომლებიც თავს სახალხო გვარდიელებს უწოდებდენ; მძიმე მოგონებები აქვს ვასოს იმ წლებიდან; ვასოს მამა დღესაც იგინება, როცა მოიგონებს, თუ როგორ დაუკლეს გვარდიელებმა მოზრდილი ბურვაკი.

სადგურზე ვასო ბაბუა ნიკომ გააცილა.

— მეღირსება კი შენი ნახვა—ჩიფჩიფით ეთხოვებოდა ვასოს ბაბუა.—ამბობენ ჩხუბია, ვიღაც ჩინეთი მოხმარებას ითხოვსო. შვიდობით, ვასო! ვინ იცის, გნახავ კი, ოდესმე?...

ვასოს გაეგონა, რომ ომში კი არა, მხოლოდ სამი თვით მიდიოდა: და მართლაც რაა სამი თვე რო ჩაუფიქრდე—ამბობდა ვასო თავისთვის. სოფლიდან რომ გამოდიოდა, თვალი მოჰკრა საყვარელ გოგონას, რომელიც მიდგომოდა ღობეს. ვასომ გაუღიმა, თავი დაუქნია და განაგრძო გზა...

და აი ვასო უკვე ტფილისში.

### ვასოს პირველი წერილი სოფელში.

...საბჭოთა ხელისუფლებას ომი არ უნდა. საბჭოთა ხელისუფლებას მშვიდობიანობა სურს; რომ გლეხი თავის მიწა-წყალზე შრომობდეს, რომ მუშა ქარხანაში მუშაობდეს, დიდი მატარებლები მიმოჰყავდეს, ფართლეულობას ქსოვდეს. არ უნდა საბჭოთა ხელისუფლებას ომი, მაგრამ მას ბევრი მტერი ჰყავს. არ მოსწონთ მათ, როცა მუშები და გლეხები ხელისუფლების სათავეში არიან. უნდოდათ საბჭოთა ხელისუფლების განადგურება—ვერ გაუმართლდათ იმედები, ვეღარ მივართვით. მაგრამ დამშვიდდება განა მდიდარი, როცა გრძნობს რომ ბოლო ეღება მის განცხრომას? არა ამხანაგებო! მდიდრები ცდილობენ საბჭოთა ხელისუფლების განადგურებას.

მათ ჯარისკაცებიც ბევრი ყავთ, ზარბაზნებიცა და თოფებიც... და ჩვენ რომ მდიდრები თავს დაგვესხან, კისერს ხომ არ გავუწვდით? მამა უცხონდებათ! ცხვირით სულ მიწას ვახვნევინებთ!.. საბჭოთა ხელისუფლებასაც უნდა ჰყავდეს თავისი არმია, რომ თავი დაიცვას.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება ზრუნავს მუშებსა და გლეხებზე. დიდი არმიის შენახვა ძვირი ჯდება, ბევრი გადასახადები იქნება საჭირო. ამიტომაა რომ ცოტა გვყავს არმიაში წითელი არმიელები.

მაგრამ დანარჩენ, ახალგაზდა მუშებმა და გლეხებმაც უნდა იცოდენ ქვემეხებით და თოფით სროლა. იმათაც უნდა დაიცვან საბჭოთა ხელისუფლება. აი მიტომ უძახიან მათ სამი თვით სამხედრო საქმის სასწავლად, ასწავლიან წერა-კითხვას, ავითარებენ. ეს, ამხანაგებო ომი კი არა ტერიტორიალური შეკრებაა, გახსოვდეთ.

ყოველივე ეს გაიგო ვასომ სულ ორ დღეში ყაზარმაში ყოფნის დროს. გაიგო ეს დილით პოლიტხელიდან, ხოლო საღამოს, როგორც კი იხელთა თავისუფალი დრო, დაჯდა და დასწერა პირველი წერილი სოფელში.

ყოჩაღ ბიჭო, ყოჩაღ—უთხრა მას პოლიტხელმა, როცა ვასომ მოუყვა მას წერილის, თავის სოფლისა და მოხუცი ბაბუას შესახებ...

### ელვის სისწრაფით მიჰქრიან დღეები.

მალე კვირა შესრულდება, რაც ვასო ტერარმიელია. ერთი კვირა და ასე შეუმჩნევლად გავიდა! დღეები მიჰქრიან შაშხანის ტყვიასავით. მიჰქრიან და ვერ ხედავ, ვერ დაიჭერ...— ეხ, შაშხანავ, ძვირფასო შაშხანავ! რა რიგ შეგიყვარა შენ ვასომ!

—ცოლი იშოვა ვასომ, ხედავ როგორ ეხვევა—ხუმრობდა პოლიტხელი.

ცოლსა სჯობია!

უყვარდა ვასოს შაშხანა და უნდოდა პირველი მსროლელი გამოსულიყო ასეულში. გამოვა კიდეც. არ გეგონოთ ვასო ისეთი ბიჭი, რომ სხვებს ჩამორჩეს.

ვასო დღეს ის არ არის, როგორც წითელ-არმიაში შესვლამდი იყო.

...საღამოობით ნავახშმევს ვასო ლენინის კუთხეშია. ლენინის შესახებ იცოდა ვასომ, მაგრამ ძალიან ცოტა. დღეს მეტი იცის. კიდევ მეტი ეცოდინება. იშვიათი წიგნი იშოვნა—შიგ ყველაფერი სწერია. მალე დაბრუნდება ვასო სოფელში, ბევრ რამეს მოუყვება ბიჭებს და ხანში შესულ გლეხებს.

ფიქრებში გართულ ვასოს არ ესმის მეზობელ წითელ-არმიელის შენიშვნა: „ვასო დროა დაიძინო!“

რის ძილი! რა ძილი! ვასომ მეორე წერილი უნდა დასწეროს სოფელში გასაგზავნად. ეხლა ის დასწერს ლენინის შესახებ...

მეზობელი წითელ-არმიელი თავის ქნევით შორდება ვასოს. ვასო ასველებს პირში ფანქარს და იწყებს: ძვირფასო მშობლებო და მეგობრებო! მალე სამი თვეც გავა. მე მალე დავბრუნდები. მაგრამ იცით თქვენ რამდენი რა ვისწავლე ამ ხანებში?... და სხვა.

——

დღეები ელვის სისწრაფით მისდევენ ერთი-მეორეს... ნუ თუ ეს სამი თვე ასე უცებ გაივლის?...

არ ჰყოფნის ვასოს დღეები...

ბ—ვი.

# ცვალებადელნი წითელ ყაზარმაში

## უკლებლად გამოცხადდენ.

მეხუთე ლეგ. 3 მე ათასეული.

ჩვენი ათასეული გულმოდ-გინეთ ემზადებოდა ცვალებადელების შესახვედრად. გამოწვევის წინა დღით გაემგზავრენ მეთაურები მათი დანიშნულ თავშესაყარ წერტებში შესახვედრად.

15-ს დილიდანვე ყოველი მხრიდან სიმღერით უახლოვდებოდენ ჩვენს ყაზარმებს გურიის ახალგაზრდობა. ჩვენთან ურიდენ თავს, როგორც ჩვენი ათასეულის, ისე მეორე ტერიტორიალური ლეგიონის, საავშირო და მესანგრეთა ასეულების ცვალებადელები. ყაზარმები და მისი ეზო უჩვეული მხიარულებამ მოიცვა ამ დღეს. ცეკვა-თამაში და გურული კრიმანჭულით შეზავებული სიმღერები მოუსვენრად გაისმოდა.

ნაშუადღევის 4 საათამდე თითქმის ყველა გამოცხადდა. ამავე დროს მთელი ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციები მოგვიახლოვდენ დროშებით და რევოლიუციონური სიმღერებით. სამხედრო ნაწილებიც გამოვიდენ წყობილებით და ყველამ გაუმართა ცვალებადელებს პატივსაცემი შეხვედრა.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ახალწვეულთა შორის ძლიერ კარგი განწყობილებაა ყველა ინტერესით ეკიდება ყაზარმას და მისი ყოფა ცხოვრების გაცნობას.

ამავე დღეს საღამოს, ადგილობრივ ახკომკავშირელთა ორგანიზაციამ, ცვალებადელების პატივსაცემათ გამართა წარმოდგენა, სადაც დაპირდაპირებული იქნა ძველი და ახალი ყაზარმა. ამხანაგებში ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა პიესამ.

ძველი არმიელები ყოველმხრივ უწყობენ ხელს ახლად მოსულებს და აძლევენ შეკითხვებზე საჭირო ახსნა განმარტებას.

სამხკორი ყულისკარელი.

## კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ.

6-ხე ლეგ. 3-მე ათასეული.

ჩვენს ათასეულში სამაგალითოდ ჩატარდა ცვალებადელეს გამოწვევა. აღნიშნულ დღეს ელა მხიარულად მოემართებოდენ ათასეულისაკენ.

16 ივნისს ცვალებადელთა 0 პროცენტი უკვე ყაზარმაში იყვენ თავმოყრილი. ყურადღებას იპყრობდა აგრეთვე ის გარემოება, რომ ცვალებადელებს ოდნავად არ ჩნეოდათ მოწყენა, თუ მხელობაში არ მივიღებთ ორსამ კაცს, რომლებსაც სახლში არვინ დარჩენიათ და თხოულობდენ დახმარებას.

17 ივნისს ჩვენს ათასეულს შემოუერთდა სიღნაღის ასეული, რომელსაც სადგურზე შეეგება უფ-პოლიტშემადგენლობა და სიმღერით მიაცილა ყაზარმებამდე.

აქვე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა მაზრის კომისარი, რომელმაც მოუწოდა ახლად შეკრებილებს გულმოდგინეთ მოჰკიდონ ხელი სამხედრო სამსახურს.

ათასეულის ყაზარმები გაივსო და გამხიარულდა. ახლად მოსულები დასუფთავებული იქნენ და დაურიგდათ ტანსაცმელი.

შეკრების საერთო სურათი ჯერ-ჯერობით ძლიერ დამაკმაყოფილებელია.

სამხკორი დ. ჭანკვეტაძე.

## საჭიროა მუდმივი მორიგე.

მეხუთე ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის სამრეცხველოში და საკომენდანტო ეულში დანიშნულია ერთი მეთაური, რომელიც ძლიერ ტვირთულია სამუშაოთი და სამრეცხაო თითქმის სულ უყურადღებოთ არის მიტოვებული. საცვლების მიღება ჩაბარე ს დროს ამ ამხანაგს ვერ შეხვდებით იქ. მრეცხავი ქალები ლის მოუწერლად იბარებენ. ასეთი მდგომარეობის დროს საძლებელია ადგილი ექნეს ყოველგვარ გაუგებრობას, როგორც მაგალითად საცვლებზე ბოროტმოქმედება და სხვა.

საჭიროა ლეგიონი მიიღებდეს საჭირო ზომებს და სამცხაოში ცალკე დანიშნავდეს ერთ მორიგე მეთაურს.

ამას საჩქაროდ უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

სამხკორი ნ. რუსპირელი.

## სპორტი ჩვენთან.

მეექვსე ტერლეგიონი.

ლეგიონის კლუბის გამგეობის ხელმძღვანელობით დაარსებული იქნა 4 სპორტიული ჯგუფი. ერთი ჯგუფი 3-მე ასეულში, მეორე ლეგიონის ცროს მეთაურთა სკოლაში, მე პირველ ათასეულში და ოთხე ჯგუფი კი 2-რე ათასეულში. თითეულ ჯგუფს ს დანიშნული სათანადოთ მზადებული ხელმძღვანელები. ჯგუფები უზრუნველყოფილია „ტრუსიკებით“ ბაიკებით, ბურთებით და სხვა საჭირო იარაღებით.

ლეგიონის ფარგლებში შექმნილია სამეული, რომელიც საერთო ხელმძღვანელობას უწევს ამ საქმიანობას. ლეგიონში ერთი ჯგუფი მეცადინეობს ყოველ დღიურად 2 საათს, რადგან 20 ივლის უნდა გავიდეს არმიის ოლიმპიადაზე. დანარჩენი ჯგუფები მეცადინეობენ კვირაში ორჯერ.

სპორტწრის საქმიანობით წითელ-არმიელთა მასა დაინტერესებულია და ჯგუფებში ჩათრეულია, როგორც წითელ-არმიელები, ისე უფ. და პოლიტშემადგენლობა.

ლეგიონში არის გაკეთებული გარადოკი. საჭიროა კომენდანტმა ეს, არე მარე მოასწოროს და დაასუფთაოს. აგრეთვე გარადოკთან იკრიბება აუარებელი კერძო პირები-ბავშვები, რომლებიც აფუჭებენ საგნებს.

მორიგე მეთაურებმა უნდა მიაქციონ მას ყურადღება და კერძო მოქალაქეებს აუკრძალონ სიარული გარადოკთან, რაც საშვალებას მოგვცემს მეტი ნაყოფიერი მუშაობა ვაწარმოოთ.

ახალწვეულნი ძლიერ დაინტერესებულნი არიან სპორტიულ მუშაობით.

იმედი გვაქვს არმიის ოლიმპიადაზე ჩვენი ჯგუფები სათანადო ადგილს დაიჭერენ.

სამხკორი დავლომი.

## ჩვენი სკოლა.

პირველი არტლეგიონი.

ჩვენმა სკოლამ ივნისის დაწყისში გამოუშვა არტილერიის უნცროს მეთაურების ერთი წყება. ამხანაგების უმრავლესობა დამაკმაყოფილებელი ცოდნით გაეშურენ ნაწილებისაკენ.

ამ ჟამად სკოლაში განაგრძობენ მეცადინეობას შემოდგომაზე გამოწვეული არმიელები, რომლებიც ამ ჟამად ბანაკში იმყოფებიან. დარჩენილი ამხანაგები ენერგიულად ეკიდებიან ყველა საჭირო საგნების შესწავლას. ყველა დატვირთული არიან სხვა და სხვა წრეებში მუშაობით. იშვიათია ისეთი საღამო, რომ წითელ კუთხეში არ ტარდებოდეს მეცადინეობა, რომელსაც რიგ რიგობით ხელმძღვანელობენ აქტიური ამხანაგებისაგან გამოყოფილი ჯგუფი.

პოლიტშემადგენლობა და საზოგადოთ ყველა მეთაურები სისტემატიურად ესწრებიან მეცადინეობას და თავისი გამოცდილებისა და ცოდნის მიშველებით ძლიერ უადვილებენ კურსანტებს სხვა და სხვა რთულ საკითხებში გარკვევას.

სამხკორი შაგგვრემანი.

# ჩვენი ნაწილები ბანაკში.

## შ ე ფ ო ბ ა.

სამხედრო პოლიტსკოლის ცხოვრებიდან.

დღეს, კვირას ბანაკი ჩვეულებრივზე უფრო ადრე აიშალა. კურსანტები ჯგუფ-ჯგუფად იბანენ ხელპირს და ემზადებიან სადღაც წასასვლელად.

—ამხანაგებო! ჩაის შემდეგ ნუ დაიფანტებით. დღეს მივდივართ სოფელ №-ში შეფობის აღების მიზნით—გაისმა ზემდეგის ხმა.

არ გასულა ცოტა ხანი და სკოლა სიმღერით გაემართა დიდ-თონეთისაკენ.

მივდევდით შარა-გზას, რომელიც გველივით მიიკლაკნება მთის ფერდობებზე.

რაც ზევით მივდიოდით, იმდენად თვალწარმტაცი სურათები იშლებოდა ჩვენ წინ. კარგია აქაური მიდამოები ზაფხულობით: უკეთესს კაცის თვალი ვერ ნახავს; აგერ ალვეთის ხეობა, დაფარული ასწლოვან, ჯერ კიდევ გაუვალ ტყით, თვისი გამოქვაბულებით, რომლებშიდაც განდეგილები ცხოვრობდენ; აგერ შორს, ხეებს შორის მოსჩანს გუმბათი უძველეს ეკლესიისა საქართველოში, მანგლისის საყდრის, რომელიც მრავალ საუკუნოების მომსწრეა; ზევით კი, უფრო შორს, თითქმის ცის ტატნობზე, აზიდულა კლდე-კარნი, თავისი მიუვალი ციხით, საორბეთი.

ავცდით შარა-გზას, დავადექით ბილიკს, რომელმაც მიგვიყვანა სოფელ №-ში.

ეს სოფელი დასახლებულია ქართველებით და სომხებით, რომელთა რიცხვი უდრის 342 კომლს. მოსახლეობა მისდევს მეტ წილად მესაქონლეობას, რადგან სახნავი მიწა ცოტაა ამ მხარეში.

გლეხებმა რომ გაიგეს ჩვენი მისვლის მიზეზი, ძალიან გაეხარდათ.

ხალხი ბლომად დაგვიხვდა, რადგან უქმე იყო და ყველანი სახლში იყვნენ.

კურსანტები დაიშალნენ და ჭიანჭველასავით მოედვნენ სოფელს. გაიმართა ბაასი, ცეკვათამაში, სიმღერა.

ერთ ადგილას მოეყარათ გლეხებს თავი და კურსანტი უკითხავდა გაზეთს, მეორე ადგილას გლეხი ებაასებოდა კურსანტებს თავის სოფლის ცხოვრებაზედ, ჭირ-ვარამზედ.

აგერ, იქ, ახალგაზრდა სოფლის მასწავლებელი ლაპარაკობს სკოლის მდგომარეობაზე. ვნახეთ სკოლა, სამკითხველო და სარძეო ფერმა, რომლის საზეიმო გახსნა დღეისთვის იყო დანიშნული.

დაირეკა ზარი და ხალხმა იწყო მოგროვება ფერმასთან. ითქვა სიტყვები სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაზე, მის მნიშვნელობაზე გლეხის პატარა მეურნეობისთვის.

აქაური გლეხობა ძალიან ემადლიერება მთავრობას ფერმის გახსნისთვის და დიდ იმედებს ამყარებს მასზე.

შემდეგ ჩვენც განუმარტეთ ხალხს ჩვენი მისვლის მიზეზი და მივიღეთ სოფელზე შეფობა. ხალხი ვაშას ძახილით შეხვდა ჩვენ განცხადებას.

გაიმართა პოლიტანკესი საჩუქრებით. სასიამოვნო და გასაცვიფრებელი იყო ის, რომ გლეხი, თამამად იძლეოდა პასუხს შეკითხვაზე, თუ რა არის ინტერნაციონალი, წითელი არმია და სხვა.

დიახ! გლეხმა გამოიღვიძა, მან იპოვა ახალი გზა ახალ ცხოვრებისკენ და მედგრათ მიდის ამ გზით.

შუა დღე გადასული იყო. ჩვენ უსურვეთ გლეხობას გამარჯვება და დავბრუნდით ბანაკში.

„ხშირად გვესტუმრეთ“-ო მოგვაძახეს მათ.

ე. ხუციშვილი.

რილის თანახმათ და აძლევს მათ თავ თავიანთი ჯგუფებისათვის სამეცადინო გეგმას. მაგალითად: ასეულის სამეცადინო ცხრილში ნაჩვენებია: თოფის მატერიალური ნაწილების შესწავლა (ლულა, სავაზნე კოლოფი და საკეტი). პირველი ჯგუფის ხელმძღვანელი ღებულობს ლულას, მეორე სავაზნე კოლოფს და მესამე საკეტს. პირველი ჯგუფის ხელმძღვანელი ჯერ საერთოდ აუხსნის ყველას ლულის დანიშნულებას და აღწერს მას. შემდეგ ის აძლევს ლულას ერთ წითელ-არმიელს. ორივე ეცნობიან მას. აქედან ეს წითელ-არმიელი იგზავნება მეორე ჯგუფში, სადაც მეცადინეობენ სავაზნე კოლოფზე და ეხლა ისმენს ამის აღწერას. მეორედან ის გადადის მესამე ჯგუფში და ასე ამ გვარად ერთ საათში მან უნდა მოიაროს ყველა ჯგუფები. ასევე მოქმედებენ სხვა ჯგუფებიც.

ამ დროს ყოველი ჯგუფის ხელმძღვანელს აქვს რვეული, სადაც უწერია მას სამი ჯგუფის წითელ-არმიელების სახელი და გვარი ჯგუფებათ. გამოკითხვის დროს ის ნიშნავს, თუ როგორ შეითვისა წითელ-არმიელმა მისი ახსნა განმარტება თოფის რომელიმე ნაწილზედ.

ოცეულის თავის მოვალეობაა ჯგუფების მეცადინეობის დროს ნაწილობრივ ყველა ჯგუფში მიიღოს მონაწილეობა და განსაკუთრებით თვალყური ადევნოს ჯგუფების ხელმძღვანელების მეცადინეობასთან მიდგომას.

მეცადინეობის დამთავრების შემდეგ, ჯგუფების ხელმძღვანელები მიდიან ოცეულის თავთან რვეულებით და ოცეულის თავს გადააქვს ჯგუფეულების რვეულებიდან საერთო დასკვნა ოცეულის სამუშაო რვეულში, სადაც დაწვრილებით აღნიშნავს დებულებების და ცალკე კითხვების შეთვისებას ოცეულის მაშტაბით. რვეულიდან ამასთანავე აღნიშნული უნდა იყოს რამდენი წითელ-არმიელი უნდა დასწრებოდა მეცადინეობაზედ, რამდენი არ დაესწრო და მიზეზი დაუსწრებლობისა.

ზემოთ ნაჩვენების შესრულების შემდეგ ყველა ოცეულის თავები ოცეულების სამუშაო რვეულებს წარუდგენენ ასეულის თავს, რომელსაც ზემოთ ნაჩვენები წესითვე ასეულის მაშტაბით გადააქვს ასეულის სამუშაო რვეულში.

შ. თელია.

## როგორ ვმეცადინეობთ სამხედრო საქმეში.

ოცეულის მეცადინეობა

მრავალმა ცდებმა და წარსული წლეების სინამდვილემ დაგვანახა, რომ ლექციური მეთოდი, რომელიც დღემდის იყო შემოღებული ჩვენი წითელი ჯარის რიგებში, სასურველ ნაყოფს ვერ ღებულობს. ამისათვის როგორც ვიცით ამ ჟამად შემოღებულია ჯგუფური მეთოდი, რომლის დანიშნულება და მიზანი არის ერთ ჯგუფში მომუშავე წითელ-არმიელები თითონ აალაპარაკოს და ესა თუ ის საკითხი თითონ ჯგუფმა დაამუშაოს. რასაკვირველია ჯგუფს ყავს თავისი ხელმძღვანელიც.

ოცეული იყოფა არა უმცირეს სამ ჯგუფათ. თითეულ ჯგუფს ყავს თავისი გამოცდილი და კარგი ხელმძღვანელი. მეცადინეობის დაწყების წინ ერთი საათით ადრე ოცეულის თავი ჯგუფების ხელმძღვანელებს აცნობს მეცადინეობის საგანს ასეულის სამეცადინო ცხ-

## რა დააშავა სანიტსაათმა?

პირველი ლეგ. სამნეო გუნდი.

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენს გუნდში ძლიერ შეფერხდა სანიტსაათების სისტემატიურად ჩატარების საქმე. ჯერ ისედაც ცოტა დრო ჰქონდა დათმობილი მას და ბოლოს ისე მოიქცენ, რომ კვირაში ერთის მაგივრად თვეში ერთჯერაც არ ტარდება ხშირად. სანიტსაათი კი ბევრ რამეს აძლევდა წითელ არმიელებს. ამხ ლომთათიძის დალაგებული და მდა-

ბიო ენით გაკეთებული მოხსენებები არმიელებს ძლიერ აინტერესებდათ.

ნაწილის საბანაკოდ გასვლის შემდეგ უკვე კარგა ხანია. მიუხედავად ამისა, აქ ერთჯერაც არ ჩატარებულა სანსაათი. ნუ თუ ბანაკად გასვლამ ასე შეაფერხა ეს საქმე? საკმარისი არ არის რამოდენიმე ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზების შესწავლა.

საბანაკო-ზაფხულის პერიოდში, პირიქით უფრო მეტი ყურადღება ეხლა უნდა ექცეოდეს ამ საქმეს და იმედია ისევ დაიწყებენ საათების ჩატარებას სისტემატიურად.

სამხკორი მეჯუდა.

## ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲖᲔ

**პირველ ლეგ. მეთაურთა სკოლა.**

19 ივნისს ჩვენი ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლა გავიდა მანევრებზე. არმიელებს წინასწარ შეატყობიეს ამის შესახებ. მათ სიხარულს საზღვარი არ ქონდა. ფიქტიური ომის ჩატარებაში ყველას სურს გამოსცადოს თავის ნერვების გამძლეობა.

დილას ადრე მთელი სკოლა თავისი ტყვიამფრქვევებითა და სხვა საომარი ამუნიციით მზად იდგა და უცდიდა ბრძანებას, რომ დაძრულიყო.

თვალის დახამხამებაში მოაწყვეს ცხენებზე ტყვიამფრქვევები.

სკოლას შეუერთდა აგრეთვე ლეგიონის საკავშირო გუნდი და მზვერავები.

—ერიჰა, ბიჭო ეს კი ნამდვილი ომი იქნება აი—გაისმა რომელიღაც არმიელის ხმა.

როდესაც რაკეტების საკმაო რაოდენობაც მოიტანეს წასაღებათ, არმიელები უფრო გამხიარულდენ.

ეს ღამით მანევრების წარმოების ნიშანი იყო.

გაისმა ბრძანებაც და სკოლა მთელი საომარი მოწყობილობით გაემართა დანიშნულ ადგილისაკენ.

სამხკორი დ. ქ.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐ ᲐᲠᲨᲔᲤᲔᲠᲮᲔᲑᲣᲚᲐ.

**არტლეგ 3-მე ბატარეია.**

ჩვენი ბატარეია თავის მუშაობის ნაყოფიერებით გაცილებით წინ იდგა ლეგიონის სხვა ბატარეიებთან შედარებით. ეს ბანაკში გასვლამდე.

ყაზარმაში დაცული გვქონდა საუცხოვო სისუფთავე. იშვიათი ხელოვნებით მოწყობილი ჩვენი ლენინის კუთხე ანდამატივით იზიდავდა წითელ არმიელთა ფართო მასას. პოლიტიკური ხასიათის და სხვა ლიტერატურა მრავლად იყო კუთხეში.

ბანაკად გასვლა ცოტა კიდეც გვეზარებოდა. ყველაზე უფრო გვენანებოდა ლენინის კუთხე, მაგრამ აქაც შევსძელით ყაზარმის წესრიგიანი ცხოვრება.

კარვები მშვენიერი გვაქვს. მათი ლამაზად მოწყობისათვის არ დაგვიშურავს არაფერი.

ლენინის კუთხის გამშვენიერებისათვის ხომ ყველა-მთელი ბატარეია ზრუნავდა, რასაც უქმად არ ჩაუვლია. ჩვენი კუთხე სამაგალითოდ იქნა მოწყობილი. საუბრები და მეცადინეობა კუთხეში ძველებური ხალისით და მონდომებით მიმდინარეობს. ხელმძღვანელები კარგი გვყავს. ლიტერატურაც მრავლად მოგვეპოება. საერთოდ ჩვენი ბანაკი რიგზეა მოწყობილი.

სამხკორი ვ. გ.—ძე.

## 2-ᲠᲔ ᲐᲠᲢᲚᲔᲒ. ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓᲔᲚᲔᲑᲘ.

(შთაბეჭდილებანი.)

მეორე არტლეგიონის ცვალებადი პარტშემადგნელობა, უკლებლად გამოცხადდა.

მოსვლისთანავე დაეტყოთ მათ ერთგვარი ინტერესი პარტიის რიგებში მუშაობის და ყველა დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას ენერგიულად ეწევიან. ისენი საუკეთესო მაგალითი შეიქნენ უპარტიო ცვალებადელთათვის, თუ როგორ უნდა მუშაობა. თითქმის ეხლავე სურს ყველას მუშაობაში ჩაბმა მეცადინეობა.

— არც ერთი წუთი არ გვინდა დავკარგოთ ტყვილა-ო. გვეუბნებიან ისინი.

— ჩვენ გვინდა იმდენი და ისე შევიძინოთ ცოდნა, რომ თავისუფლად შეგვეძლოს მისი სხვისთვის გაზიარება. ასე ლაპარაკობენ ახლად მოსულები დავალებების შესრულებაში ერთმანეთს ეცილებიან. უსურვებთ ამხანაგებს არასოდეს არ ჩამქრალიყოს მათში ეს ერთსულოვნება და სამაგალითო ენტუზიაზმი.

სამხკორი აბზიანიძე.

## ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

**დეპოს მუშა ალმასკომის თავმჯდომარედ.**

გორის სამაზრო ალმასკომმა დაამტკიცა სოფ. ღუდის თემალმასკომის თავმჯდომარედ დეპოს მუშა ვას. კურტანაძე.

**ხილის გასაშრობი.**

ახალციხის ალმასკომს განზრახული აქვს ააგოს ხილის საშრობი ქარხნები სოფ. ტოლაში, ურაველში და ვენარში.

**მიწად მოწყობისათვის.**

გორის მაზრაში მიწად-მოწყობის საქმის დაკვრითი წესით ჩასატარებლათ სამაზრო ალმასკომმა შუამდგომლობა აღძრა მიწ.-მოქ. კომისარიატის წინაშე 10 მიწის მზომელის გაგზავნის შესახებ.

**ქართოფილის ქარხანა.**

ახალციხის სამაზ. ალმასკომმა დაადგინა სთხოვოს წარმოკავშირს, რათა ამ უკანასკნელმა დააჩქაროს ქართოფილის ქარხნის მოწყობა მაზრაში.

**სვანეთში.**

მიწ.-მოქმ. კომისარიატის შინა მრეწველობის განყოფილებამ სვანეთში მოაწყო საკერამიკო ქარხანა.

**აჭარის შესასწავლად.**

ახლო ხანში ბათომში მოწვეულ იქნება სამეცნიერო ყრილობა აჭარის მხარის შესწავლა-გაცნობის მიზნით.

**საბავშვო სახლი ლიუქსემბურგში.**

ბორჩალოს ალმასკომმა გადასდო დამატებით 600 მანეთი ლიუქსემბურგში საბავშვო სახლის ასაგებათ.

**წიგნების შეძენა.**

ახალციხის ალმასკომმა დაადგინა შეიძინოს სახელმწიფო გამომცემლობისაგან მაზრის ბიბლიოთეკებისათვის 2 ათასი მანეთის წიგნები.

**სეტყვასთან ბრძოლა.**

ახალციხის ახმასკომაა შეიძინა სეტყვის საწინაამდეგო შუშხუნები, რომლებიც დაურიგდებათ იმ სოფლებს, სადაც უფრო მოსალოდნელია სეტყვა.

**სასოფლო-სამეურნეო ბანკი ბათომში.**

აჭარის ეკონომ. საბჭომ მიზანშეწონილად სცნო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ბათომის განყოფილების აჭარის სასოფლო-სამეურნეო ბანკათ გადაკეთება.

**სოფლების დავა.**

ახალქალქის ალმასკომმა გაგზავნა საგანგებოთ ამორჩეული კომისია სოფ. მოდეგა და ლომატურცხს შორის საძოვარზე აღძრულ დავის მოსაგვარებლათ

**მიწის ნორმა სოფლის მასწავლებლებს.**

ბორჩალოს ალმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საქ. სახკომსაბჭოს წინაშე, მაზრის სოფლის მასწავლებლობისათვის მიწის ნორმის დატოვების შესახებ, თანამდებობასთან შეთანხმებით.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— **ტფილის—კოჯორის რკინის გზის აშენების გეგმის** შესადგენათ და წინასწარ მუშაობის საწარმოებლათ ტფ. ალმასკომმა გადასდო 15 ათასი მანეთი.

— **მშობიარობის გაადვილება.** ჯანსახკომის მიერ საზღვარ გარეთიდან გამოწერილი მშობიარობის გამაადვილებელი აპარატი უკვე მიღებულია ტფილისში. აპარატი დადგმულ იქნება სამშობიარო ინსტიტუტში.

— **ალაზნის ველის მორწყვა.** საქ. საგეგმო კომისიამ დაამტკიცა ალაზნის ველის მორწყვის გეგმა.

— **დასასვენებელი სახლები ფოსტელებისათვის.** ფოსტა-ტელ. კომისარიატმა გადასდო 8 ათასი მანეთი ფოსტელ მოსამსახურეთათვის დასასვენებელ სახლის ასაგებათ, რომელიმე აგარაკზე.

— **სამრეწველო წისქვილი.** ტფილ. ალმასკომის კომუნალური განყოფილება შეუდგა მძლავრი სამრეწველო წისქვილის ასაგებათ ხარჯთაღრიცხვის შედგენას.

— **საფეიქრო სახელოსნოები.** მიწად მოქმედ. კომისარიატის შინამრეწვ. განყოფილებამ ტფილისის მაზრაში გახსნა 2 საფეიქრო სახელოსნო, სადაც სწავლობს 45 მოწაფე.

## ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ.

— **ამ.-კავკ. სახკომსაბჭომ** დაამტკიცა საბინაო კოოპერატიული ამხანაგობის ნორმალური წესდება.

— **ამ.-კავკასიის სას.-სამეურნეო** ბანკის ძირითადი კაპიტალი, ა. კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით შემცირებულია 3 მილიონ მანეთამდე.

— **ა. კ. სახკომსაბჭომ** მიიღო დადგენილება, რათა საურთიერთო საკრედიტო ამხანაგობებმა მისცენ სესხი იმ მოქალაქეთაც, რომელნიც არ არიან აღნიშნულ ამხანაგობათა წევრები.

— **დახმარება უმუშევრებს.** სახკომსაბჭომ შეიტანა ა. კ. ცაკში დასამტკიცებლათ დადგენილების პროექტი უმუშევართა დახმარების მიზნით კოლექტივებისა და სხვა და სხვა სა... მუშავრების მოწყობის შესახებ.

## ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ.

**წითელ არმიელთათვის ცნობები ჯანმრთელობის შესახებ.**

ჩვენ გვინდა ვესაუბროთ წითელ არმიელებს ადამიანის ყველაზე უფრო ძვირფას საგანზედ, მის ჯანმრთელობაზედ. გვინდა დავეხმაროთ მას გაერკვეს თვის გარემო ბუნებაში, შეისწავლოს იგი, და შეებრძოლოს მას შეგნებულად, რადგანაც ბუნება როგორც მეგობარი ისე მტერია ადამიანის. ცხოვრება ბრძოლაა, და ბრძოლაა არა მარტო ადამიანებს შორის, არამედ ადამიანსა და გარემო ბუნებას შორის.

საჭიროა წითელ არმიელმა, თავის სამსახურის დროს, გაიცნოს პირობები გადამდები სნეულების გავრცელების, და სამსახურის გათავების შემდეგ, როგორც მოქალაქე, რომელსაც უფრო მეტი უნახავს, მეტი გაუგონია, ჩაებას საერთო ცხოვრებაში და წინ წაუძღვეს გლეხკაცობას დაბეჩავებულს და დაჩაგრულს თავისი გაუნათლებლობის და უცოდინარობის წყალობით.

ყოველმა წითელ არმიელმა იცის თუ რამდენი სხვა და სხვა ჯურის ავადმყოფობა არის გავრცელებული ჩვენს სოფელში. ყვავილი, ქუნთრუშა ყივანა ხველა, ხუნაგი (ყელჭირვება), მუცლის ტიფი, პარტახიანი ტიფი, ხოლერა, ჭლექი და სხვა მრავალი სენი, აი ყველა ის რაც მაჯლაჯუნასავით დასწოლია თავს გლეხკაცობას და არაქათს ართმევს მას. აუარებელი მსხვერპლი მიაქვს ამ გადამდებ სნეულებებს. იმ დროს როცა ჩვენში 1000 კაცზედ გადამდები სნეულებით კვდება 6—8 კაცი, ავსტრიაში 1000 სულზედ კვდება 2 ინგლისში—ერთი, ნორვეგიაში 2000 სულზედ ერთი.

გამოდის რომ ჩვენში გადამდები სნეულებით იხოცება 12—14-ჯერ მეტი ვიდრე ნორვეგიაში, 5 ნახევარჯერ მეტი ვიდრე ინგლისში, სამჯერ მეტი ვიდრე ავსტრიაში. იმისთანა ავადმყოფობანი, როგორც ყვავილი, შავი ჭირი, ხოლერა იქ ხალხს გაუგონია, ნახვით კი დიდი ხანია აღარ უნახავს.

ინგლისში, გერმანიაში, შვეიცარიაში განგებ რომ ეძებო ვერ იპოვნით ყვავილით ავადმყოფს.

ასევე არის სიცოცხლის ხანგრძლივობაც. ჩვენში საშუალოდ ადამიანი ცხოვრობს 30 წელიწადს, გერმანიაში 42 წელს, შვეციაში 47, დანიაში 52. ჩვენ ნაკლებს ვცხოვრობთ. ჩვენ ღარიბულად ვცხოვრობთ და ყველა ეს ჩვენი შეუგნებლობის და გაუნათლებლობის გამო.

ჩვენში ავად გახდომის უმალ გლეხი კაცი ჯერ მიმართავს მკითხავს, შემდეგ იმისი რჩევით მოილოცავენ ორ-სამ ნანგრევ ეკლესიას, და შემდეგ როცა ნახვენ, რომ ავადმყოფი არ მორჩა, მაშინ მიმართავენ ექიმს. ბელგიის, შვეიცარიის, გერმანიის მოქალაქე კი, ავად გახდომის უმალ, მიმართავს ექიმს, და თავის ცხოვრებასაც ისე აწყობს, რომ გადამდები სნეულება ან სულ არ გაჩნდეს, და თუ გაჩნდა დასაწყისშივე მოისპოს.

ჩვენშიაც დრო არის ბოლო მოეღოს ამ უკუღმართობას. დრო არის გავიგოთ თუ საიდან ჩნდება გადამდები სნეულება, და ჩვენი ცხოვრება ისე მოვაწყოთ, რომ მათ ადგილი აღარ ქონდესთ ჩვენს ცხოვრებაში.

წინად ხალხის გათვითცნობიერებას ხელს უშლიდა მთავრობა, რადგან გათვითცნობიერებული ხალხი მონა მორჩილი არ იქნებოდა.

ეხლა არამც თუ არავინ ხელს არ უშლის, პირიქით მთავრობა სცდილობს რითაც კი შეუძლიან ხელი შეუწყოს ხალხის განათლებას.

იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის მერმე ჩვენ ახლად ვაშენებთ სახელმწიფოს.

გასაკეთებელი ბევრი არის, და თუ ჩვენ თვითონაც რა დავეხმარეთ მთავრობას, იგი ცალკე ვერ განახორციელებს ყველა იმ ზომებს, რომლებიც მას განზრახული და მოსაზრებული აქვს ხალხის კეთილდღეობისთვის.

ექიმი ა. გარსიაშვილი.

(გაგრძელება იქნება,)

## ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ?

თანახმად ამხ. ასათიანის გამოწვევისა, ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ ყოველ თვიურად და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს ქალ. დუშეთიდან:

1. პოლიტბიუროს თანამშრომელს ამხ. სერგო ავალოვს. 2. კომუნალურ განყოფილების თანამშრომელს ამხ. მიშა ყარანგოზოვს. 3. სამხედრო კომისარიატის თანამშრომლებს ამხ. ბაბო ახალშენიშვილქალს. 4. ამხ. ლავრენტი კორინთელს.

იმედია აღნიშნული ამხანაგები გამოეხმაურებიან ჩემს გამოწვევას და გამოიწერენ გაზეთ „წითელ არმიელს„.

დუშეთის მაზრის სამხედრო კომისარის თანაშემწე

მ. ქარცივაძე.

## ᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ.

ქართულ გაერთ. მეთაურთა სკოლის № 3-მე კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიაში წევრად გადარიცხვის და კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგ ამ...

1. ანთიძე, თედორე ასალოს-ძეს, ოზურგეთის მაზრის ... ხევის თემის მცხოვრები. 2. თავაძე, მოსე სერგოს-ძეს ქალ. ბათუმის მცხოვრები. 3. წივწივაძე, ვლადიმერ ვენედიქტეს-ძე ქუთაისის მაზრის, ქ. ხონის მცხოვრები. 4. ჯაში შალვა ინ...ნეს-ძეს, ოზურგეთის მაზრის სოფ. ვანის მცხოვრები.

თუ ვისმეს მოეპოება რაიმე საწინააღმდეგო აღნიშნულ ამხანაგების კომპარტიაში მიღების შესახებ, გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობები შემდეგი მისამართით:

ქართ. მეთ. სამხ. სკოლის № 3-მე კომუჯრედის ბიუროს.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. ფ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.